წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან.
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 447 ოთხშაბათი, აპრილის 18 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

აპრილის 17-ს, უეცრად გარდაიცვალა

**დიმიტრი ნიკოლოზის ძე დიასამიძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მისი და, ძმები, რძლები და ძმისწულები. პანაშვიდი ოთხშაბათს, აპრილის 18-ს, საღამოს 6 საათზედ. ნიკოლოზის ეკლესიაში ვერაზე; დაკრძალვა მოხდება იქვე ხუთშაბათს, აპრილის 19-ს, ნაშუადღევის 5 საათზედ.

№ 406—2—1

ხუთშაბათს 19 აპრილს საღამოს 5 საათზე

**სახალხო სახლის დარბაზში**

**შესდგება ტფილისის საბჭოს კომფრაქციის სხდომა.**

**დღის წესრიგი:**

1. საბინაო პოლიტიკა.
2. ფრაქციის ბიუროს მოხსენება.

ფრაქციის ყველა წევრები ვალდებული არიან თავის დროზე დაესწრონ სხდომას.

**ფრაქციის ბიურო.**

№ 318—2—1

## ბინის საკითხი

ბინის საკითხი მეტად მწვავედ სდგას არა მარტო ჩვენს დედა ქალაქში, არამედ ყველა ქალაქში საზოგადოთ.

ევროპისა და ამერიკის ქალაქები მეტად დიდ სივიწროვეს განიცდიან ბინის. ქალაქების ზრდა და სრა—სასახლების შენების სწრაფი პროცესი კიდევ უფრო ნელი გამოდგა ქალაქთა მცხოვრებლების გამრავლების პროცესთან შედარებით.

თუ ომამდე კაპიტალის მოთავსება საალმშენებლო საქმეში საკმაო მოგებას აძლევდა კაპიტალის პატრონს, ომის პროცესში და მის შემდეგ, როდესაც კაპიტალმა სპეკულიანტური კომბინაციების სფეროში მონახა მოგების წყარო, თითქმის სავსებით ჩამოშორდა საალმშენებლო საქმეს.

ეს მოვლენა არ არის საკვირველი. როდესაც კაპიტალის მიზანს შეადგენს მომგებიანობა და სარგებლიანობა, რაც ახასიათებს კაპიტალისტურ წყობილებას, მას ვერ შევძენით ვერავითარი მახინაციებით საალმშენებლო საქმეში და ამით ჯურღმულებიდან ვერ ამოვიყვანთ სინესტისაგან დასნეულებულ ხალხს, რადგან სავაჭრო კომბინაციები ან საწარმოო მუშაობა განსაზღვრულ ფაბრიკატებზე კაპიტალს მოგების უმაღლეს ხარისხს აძლევს.

ამიტომ არის, რომ დღეს მსოფლიო მასშტაბით არის შეჩერებული საალმშენებლო საქმე. კაპიტალისტი არ ზანდავს დიდძალს თანხას შენობათა აგებისათვის. ცხოვრების ანორმალობა და ომის პროცესი კიდევ არ ქმნის ქალაქის მცხოვრებთა სიმცირის ზრდას. ომის მიერ შეწირული 35 მილიონი ადამიანის სიცოცხლე დიდ შეღავათს არ ქმნის ბინებისათვის. ამას გარდა დღეს ეკონომიური კრიზისები სოფლიდან ქალაქისაკენ მიდენის იმათაც, ვინც წინეთ მხოლო სასოფლო-მეურნეობის საშუალებით არსებობდა და ლტოლვა ქალაქისაკენ, თუ გნებავთ დროებით სამუშაოსათვის მაინც გავლენას ახდენს ქალაქში საბინაო კრიზისზედ.

ჩვენში ქალაქები უფრო საადმინისტრაციო ცენტრებია, ვიდრე სამრეწველო, მაგრამ დედაქალაქში, ტფილისში ეს პირობაც საკმაო გახდა საბინაო კრიზისის აღმოცენებისათვის. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ტფილისში საბინაო კრიზისის საწინააღმდეგო ზომები, რასაც ეხლა არ გავიმეორებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბინების შეკეთებისა და ახალი ბინების შენებისათვის დღეს საჭირო ხდება საკითხის დასმა.

ტფილისის შენობათა 91,3 პროცენტი საჭიროებს შეკეთებას, ხოლო 56,5 პროცენტი კი კაპიტალურ შეკეთებას. ეს ცნობა ქალაქისათვის თავზარდამცემია. ქალაქი, დარჩენილი ამ პირობებში, დანგრევისა და განადგურებისაკენ მიდის.

სად არის ხსნა? შესძლებს თუ არა ქალაქის აღმასკომი საქმის გამოსწორებას? ვინ უნდა მიეშველოს ქალაქს? ვინ უნდა შეაჩეროს ქალაქის რღვევის პროცესი?

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ კერძო კაპიტალის როლი საალმშენებლო საქმეში საერთოდ და დავინახეთ, რომ თვით კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კერძო კაპიტალის პროდუქტიულობა ამ საქმეში არაფერს იძლევა. მით უფრო საბჭოთა რესპუბლიკებში კერძო კაპიტალი ვერაფერს მოგვცემს.

მოსკოვში კომუნალურ მეურნეობის ყრილობაზედ გამომუშავებული იქნა აზრი, რომ გარანტიები უნდა მიეცეს კერძო კაპიტალს საალმშენებლო საქმეშიო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორი გარანტიებიც არ უნდა მივცეთ კაპიტალისტებს, ისინი, ჩაფლულნი დღესვე უმთავრესად სპეკულიაციისა და ვაჭრობის სფეროში, არ გამოდგებიან საალმშენებლო საქმეში. მით უფრო ჩვენში არ შეიძლება არავითარი სერიოზული იმედი ამ მხრივ, სადაც ეგ. წოდებული კაპიტალისტები მხოლოდ სპეკულიანტებს წარმოადგენენ.

ქალაქი ვერ შესძლებს საკუთარი ძალით მდგომარეობის გამოსწორებას. ქალაქის მატერიალური რესურსები ფრიად მცირეა ბინების მოვლა-პატრონობისათვის.

დღეს უკვე მიღებულია საბინაო ქირის მომატება, მაგრამ ეს პალიატიური ზომაა. მუშა-მოსამსახურენი, რომელთა საარსებო ბიუჯეტი არსებობის მინიმუმზედ დაბლა სდგას, ვერ აიტანს დიდი ქირის გადახდას, კიდეც რომ პრინციპიალურად მისაღებად ჩავთვალოთ მდგმურთა ხარჯზედ ბინების შეკეთება.

მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით შეიძლება საბინაო საკითხის მოგვარება.

ბინების შეკეთება და მოვლა, დამწვარ შენობების აღდგენა დამკვრელ საქმეთ უნდა იქნეს გამოცხადებული. ტფილისის შენობათა ნგრევა უნდა შევაჩეროთ, სარდაფებიდან უნდა ამოვიყვანოთ ხალხი მზის სინათლეზედ, ქალაქი უნდა გავაჯანსაღოთ.

საერთო ძალღონით, ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობით უნდა შევსძლოდ ამ დიდი საქმის შესრულება.

სხვა გზა ვერავითარ მნიშვნელოვან შედეგს ვერ მოგვცემს.

## პრესა

„კომუნისტის“ № 84 ეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცირკულიარს და სწერს:

„ამ დღეებში ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოსცა ფრიად საყურადღებო ცირკულიარი. „ცირკულიარი ეხება მუშათა პრესას“.

„საბჭოთა პრესის ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს გამოაშკარავება იმ არა ნორმალურ მოვლენების, დეფექტების, ბოროტმოქმედებების, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ წარმოება-დაწესებულებებში. ამით ჩვენი პრესა აქცევს სათანადო ორგანოების ყურადღებას ასეთ მოვლენებზე, რათა მიღებულ იქნას ზომები მათ აღმოსაფხვრელად“.

გაზეთი განაგრძობს:

„მაგრამ ბევრ შემთხვევაში მუშათა პრესის მიერ წარმოებული მხილება და კრიტიკა დღემდე უშედეგოდ რჩებოდა. მას ან სულ არ კითხულობდნენ, ვისაც ეს ეხებოდა, ან თუ კითხულობდნენ, არ იღებდნენ საჭირო ზომებს მუშათა პრესაში გამოქვეყნებულ დაუშვებელ მოვლენების მოსასპობად და დამნაშავე პირთა დასასჯელად. რამდენი რამ გამოქვეყნდა გაზეთში ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში არსებულ დეფექტების და თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ უკანონობის თუ შეუფერებელ მოქმედების შესახებ, ხოლო იშვიათად გვინახავს გამოხმაურება ამ შენიშვნებზე და მიღებულ ზომების შესახებ“.

„ეს სამწუხარო მოვლენა მოწმობს, თუ რამდენად არა აქვთ ჩვენში შეგნებული მუშათა პრესის მნიშვნელობა, ეს მოწმობს, რომ საბჭოთა პრესას კიდევ არა აქვს მოპოებული ის ძალა და ავტორიტეტი, რომელიც მას უნდა ეკუთვნოდეს, ამასთან ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ სუსტია ჩვენში საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის გავლენა და წონა.“

„ხოლო რამდენადაც მუშათა პრესა თან და თან შედის თავის უფლებაში, რამდენადაც მის მიერ წარმოებულ კრიტიკას უკვე დაუწყეს ყურადღების მიქცევა, ჩვენ ამასთან დაკავშირებით მოწმენი ვხდებით ერთ მახინჯ მოვლენის. ჩვენ ვლაპარაკობთ მუშა-კორესპონდენტების დევნაზე, რის რამდენიმე ფაქტი ჩვენ თავის დროზე გვქონდა გამოქვეყნებული. ზოგიერთა წარმოება-დაწესებულების ადმინისტრატორი ამა თუ იმ საბაბით ცდილობს თავიდან მოიშოროს მისთვის არა სასიამოვნო მუშათა კორესპონდენტი, რათა ამით მზის სინათლეზე არ იქნას გამოტანილი მისი „საგმირო საქმენი“.

„რა თქმა უნდა, მუშა მწერლების წინააღმდეგ მიმართული აშკარა თუ ფარული რეპრესიები ძირშივე იქნება ჩაკლული, მაგრამ თავის თავად დამახასიათებელია საბჭოთა პრესის თანამშრომელ მუშების ალაგმვის ცდა, რომლის თითო-ოროლა შემთხვევას უკვე ჰქონდა ადგილი. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ, ერთი მხრივ, ზოგიერთ დაწესებულებაში ყველაფერი რიგზე არ მიმდინარეობს, მეორე მხრივ, აქა იქ კიდევ მოიპოვებიან საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტები, რომელთაც შედარებით მაღალი ადგილებიც უკავიათ“.

„ინსპექციის სახალხო კომისარიატი კატეგორიულად მოითხოვს მის ქვემდებარე ორგანოებისაგან, რათა მათ მიაქციონ ფხიზელი ყურადღება მუშათა პრესაში მოთავსებულ შენიშვნებს, კორესპონდენტებს და ცნობებს, რომელნიც აშუქებენ არა ნორმალურ მახინჯ მოვლენებს საბჭოთა დაწესებულება-წარმოებებში. მათ ისინი დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმონ და მიიღონ შესაფერი ზომები. ამასთან ინსპექციის კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა კორესპონდენტების დევნისა და საბჭოთა პრესისადმი უყურადღებობის შემთხვევებს. კომისარიატი მოითხოვს თავის ორგანოებისაგან სისტემატიურად და დანიშნულ დროზე წარუდგინონ მათ ანგარიში ამ მხრივ წარმოებულ მუშაობის შესახებ“.

„ამნაირად, მუშათა პრესის სიტყვას, მასში აღნიშნულ ფაქტებს ამიერიდან მიექცევა უდიდესი ყურადღება“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ პრესას ზურგს უმაგრებს მ. გ. ინსპექცია და განაგრძობს:

„მუშათა პრესა ხდება უდიდესი ფაქტორი ჩვენი ცხოვრების, ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაჯანსაღების საქმეში. არც ერთი მისი ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, არამედ მას უეჭველად მოყვება რეალური შედეგი.

ჩვენი პრესაც შეეცდება იდგეს ამ მხრივ თავის დანიშნულების სიმაღლეზე, ის თავის თავის ფურცლებზე გამოაშკარავებს ყველა მახინჯ მოვლენებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ საბჭოთა დაწესებულებებსა და წარმოებებში. ის გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ ცდას, მიმართულს მისი ჯანსაღი და საფუძვლიანი კრიტიკის შეზღუდვისაკენ“.

გაზეთი სამართლიანად აღნიშნავს პრესის დიდ მნიშვნელობას და იმ ფაქტს, რომ დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა პრესაში გამოქვეყნებულ ბოროტმოქმედებას თუ დაუდევრობას. უნდა დაუმატოთ, რომ საბჭოთა პრესა თვითკრიტიკით უნდა ხასიათდებოდეს, მან უნდა შესძლოს ყველას დარწმუნება, რომ მშრომელთა დიქტატურა ტირანია კი არ არის, რომელიც მხოლოდ თავისი ბატონობის შენარჩუნებისათვის იბრძვის და ქვეშევრდომთა ბედი არ აინტერესებს, არამედ იგი უაღრესად სოციალური ინტერესის მქონე წყობილებაა, რომელიც საზოგადოების უმრავლესობის კეთილდღეობისაკენ მიმართავს პოლიტიკურ გემს.

ადამიანის მოქმედების კონტროლია ზნეობა და სამართალი. პრესა დარაჯად უნდა დაუდგეს ზნეობასა და სამართალს. მან უნდა განდევნოს ზნეობრივად შავი ელემენტები სახელმწიფოს ორგანიზაციისაგან რევოლიუციონური სასამართლოსაკენ.

## რადიო-ტელეგრამები

### რურის ოლქის ოკუპაცია

**ოკუპანტები ემზადებიან ახალი ძალადობისათვის.**

**მოსკოვი.** 17 აპრ. საფრანგეთ-ბელგიის კონფერენცია დამთავრდა. ორთავე მთავრობამ გადასწყვიტეს განაგრძონ შეთანხმებული მუშაობა რურში და შემოიღონ ახალი იძულებითი ზომები სანამ გერმანია არ წავა დათმობაზე.

**მუშები მოქმედებენ**

**მოსკოვი.** 17 აპრ. ფრანგების მიერ გუბერტის მაღაროების დაკავების შემდეგ მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა ყველა მაღაროებში და ჩააქრეს ცეცხლი ღუმელებში. დღიდან რურის ოლქის დაკავებისა ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მაღაროებში სავსებით შეწყვეტილია მუშაობა.

**ბურგომისტრის დაპატიმრება**

**მოსკოვი.** 17 აპრ. საოკუპაციო ხელისუფლებამ დააპატიმრა ბურგომისტრის მოადგილე, რომელმაც უარი სთქვა დიუსბურგზე შეწერილი ჯარიმის გადახდაზე.

**მუშებთან შეტაკება**

**მოსკოვი.** 17 აპრ. ინგლისის ზონის საზღვართან ფრანგებმა ხელთ იგდეს საბარგო ავტომობილი შეკოლადით. გერმანიის მუშებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, ამ შეტაკების დროს საფრანგეთის ჯარის-კაცმა დასჭრა ერთი მუშა დაპატიმრებულია 6 მუშა.

**კიდევ თათბირი**

**ბერლინი.** 17 აპრ. პარიზში დამთავრებულ საფრანგეთ ბელგიის მინისტრთა თათბირზე დაადგინეს განაგრძონ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ორთავე მთავრობას შორის, რისთვისაც მოსალოდნელია ბრიუსელში ახალი თათბირის გამართვა. პარიზის პრესის ცნობით პუანკარე მიემგზავრება ბრიუსელში 29 და 30 აპრილს.

**რკინისგზელების პროტესტი**

**ბერლინი.** 17 აპრ. ინგლისის გერმანიის, საფრანგეთის ჰოლანდიის, ბელგიის, შვეიცარიის და სკანდინავიის რკინისგზელთა კავშირმა გაუგზავნა პუანკარეს საპროტესტო დეპეშა ესსენში ფრანგების მიერ გერმანელ მუშების დახვრეტის წინააღმდეგ.

**ძალადობის პოლიტიკა არ შეწყდება**

**პარიზი** 17 აპრ. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ ინვალიდების კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ იძულების პოლიტიკა არ შეწყდება მანამდე, სანამ გერმანია არ წავა დათმობაზე და დაკავებული ადგილები განთავისუფლებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანია გადაიხდის ყველა ვალდებულებებს.

**მსხვერპლთა დაკრძალვა**

**ბერლინი.** 17 აპრ. შაბათს საღამოს ესსენში მოხდა ესსენის 14 მსხვერპლის დაკრძალვა დანარჩენი დაჭრილების ჯანმრთელობა უკვე გაუმჯობესდა.

### უცხოეთი

**„იუმანიტეს“-ს ორკვირეული**

**მოსკოვი,** აპრილის 17. პარიზში 14 აპრილს დაიწყო პროპაგანდის ორკვირეული „იუმანიტე“-ს სასარგებლოდ.

**რეფორმისტების გამცემლობა.**

**მოსკოვი,** აპრილის 17. გაზეთი „იუმანიტე“-ს აზრით მოზელის მემაღაროების გაფიცვის დამარცხება გამოწვეულია რეფორმისტების მოღალატური მოქმედებით. მათი მოღალატეობის წყალობით გა-

ძლიერებული იქნა რეპრესიები. ციხეებში იტანჯებიან 200-დე იუშები. სხვა და სხვა დისციპლინალური ჯარიმები მიუსაჯეს 3,000 გაფიცულს.

**საფრანგეთის ზრახვები.**

**მოსკოვი,** აპრილის 17. საფრანგეთის გაზეთი „მოტენო“ აქვეყნებს ცნობას საფრანგეთის მთავრობის ახალი სარეპარაციო გეგმის შესახებ. გაზეთის სიტყვით ეს გეგმა განხილულ იყო ლუპერის და ინგლისის მთავრობის მიერ. გეგმის თანახმად გერმანიის „A“ და „B“ სესიების ბონები განიყოფებიან ორ ნაწილად. აქედან პირველი 2 მილიარდი გირ. სტერლინგი ეძლევა საფრანგეთს და ბელგიას, მეორე გადაეცემა ინგლისს საფრანგეთის ვალის დასაფარავი ვალდებულებების ნაცვლად. გეგმაში აღნიშნულია აგრეთვე რურის ინტერნაციონალიზაცია ერთა ლიგის მეთვალყურეობით მანამდე, სანამ გერმანია სავსებით არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს; საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უარყოფს ამ ცნობას და აცხადებს, რომ ასეთი გეგმა საფრანგეთის მთავრობას არ მიუღია. „მატენ“-ის ცნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონში. ლონდონის ოფიციალური წრეებიც უარყოფენ „მატენი“-ს ცნობას თითქოს ეს გეგმა დადასტურებულ იყოს ინგლისის მთავრობის მიერ და აღნიშნავენ, რომ ინგლისის პალატა არასოდეს არ დათანხმდებოდა საფრანგეთის ვალის გაუქმებაზე მაშინ, როდესაც ინგლისი უხდის თავის ვალს ამერიკას. ინგლისის წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისს აუცილებლად მიაჩნია მიეცეს გერმანიას მორატორიუმი, რათა მას საშუალება მიეცეს თავისი ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ის, რის შეძლებაც ექნება. ამავე დროს ინგლისმა, ყოველშემთხვევაში, უნდა მიიღოს გერმანიის გადასახადის რომელიმე ნაწილი. ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ „მატენი“-ს მიერ გამოქვეყნებული გეგმა, თუმცალა არ მიუღია ფორმალურად საფრანგეთის მთავრობას, მაგრამ შემუშავებულია საფრანგეთის ფინანსიური ექსპერტების მიერ.

**სამუშაო ხელფასის მომატება**

**მოსკოვი.** 17 აპრილი. ამერიკის მრეწველობის მრავალ დარგებში ხდება სამუშაო ხელფასის მომატება. მომატება შეეხება 200,000 მუშას.

**რიუტენბერგის პროცესი**

**მოსკოვი** 17 აპრილი. ორშაბათს სენტ-დჟოზეფში დაიწყო „უორკერ-პარის“ (კომუნისტური პარტიის) აღმასრულებელ კომიტეტის მდივნის რუტენბერგის პროცესი. რუტენბერგს ბრალს სდებენ სინდიკალიზმში და კომუნისტური კონგრესის მოწვევაში, ფოსტერის პროცესის სასურველად დამთავრება, რომელმაც აღნიშნა ადგილობრივ ლიბერალურ ელემენტების განწყობილება, თავდებია იმის, რომ რუტენბერგის პროცესი სასურველად იქნება დამთავრებული. უფრო შესაძლებელია, რომ რუტენბერგის პროცესი დამთავრდება მისი გამართლებით.

**მუშათა საერთო მოქმედება**

**მოსკოვი** 17 აპრილი. განახორციელეს რა ერთიანი ფრონტის ლოზუნგი ლიონის კრედიტის მოსამსახურეებმა აირჩიეს დელეგაცია, რომელიც შესდგება შრომის უნიტარულ კონფერენციის წარმომადგენლებისაგან. ადმინისტრაციისათვის მოთხოვნილების წარსადგენად, ხელფასის მომატების შესახებ.

პარიზ-ლიონის რკინის გზის ხაზის რკინისგზელთა ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ავალებს შრომის უნიტარულ კონფერენციას მოიწვიოს საგანგებო კონგრესი მიმართულების მიუხედავად, რომელიც განიხილავს საკითხს ყველა პროფკავშირთა ერთიან ფრონტის შესახებ.

**პუანკარეს თვალთმაქცობა**

**მოსკოვი** 17 დიუნკირხენში მსოფლიო ომში დახოცილთა ძეგლის გახსნის დროს პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ინგლის-საფრანგეთის შორის არსებულ საუკუნოებრივ შუღლს ბოლო მოეღო. საფრანგეთისათვის უცხოა იმპერიალისტური ზრახვები, მაგრამ იგი მაინც სარგებლობს თავისი გამარჯვების ნაყოფით, რათა აიძულოს გერმანია შეასრულოს მისი ვალდებულებანი.

**პროტესტი ებრაელთა დარბევის წინააღმდეგ**

**მოსკოვი** 17 აპრილი. პოლონეთის სეიმის ებრაელთა. ფრაქციამ გამოაქვეყნა მოწოდება ებრაელ მცხოვრებთა მიმართ, რომელშიაც იგი მოუწოდებს ებრაელებს პროტესტი განაცხადონ ებრაელთა დარბევის წინააღმდეგ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ დარბევის მსხვერპლი გახდა 200 ებრაელი, რომელთაგანაც ბევრი მძიმედ დაჭრილნი არიან. მოწოდების ავტორები ბრალსა სდებენ პოლონეთის პრესას დარბევის სისტემატიურად მზადებაში და აღნიშნავენ ხელისუფლების დაუდევრობას. ავტორები მოუწოდებენ ებრაელთა მცხოვრებთ თავიანთი უფლებების დაცვისაკენ და წინადადებას აძლევენ სამშაბათს, 17 აპრილს, შესწყვიტონ მუშაობა და დახურონ მაღაზიები 3—7 საათამდე, ნიშნად პროტესტისა დამრბევთა წინააღმდეგ.

**ლიუბლინის მბეჭდავთა გაფიცვა**

**მოსკოვი** 17 აპრილი. ლიუბლინში იფეთქა მბეჭდავთა გაფიცვამ ქალაქის ყველა სტამბებში. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას. გაზეთები აღარ გამოვიდენ.

რავებელთა კავშირმა აიძულა ორი ბურჟუაზიული გაზეთი უარეყო მუშებთან შეთანხმება.

**იაპონიის ბურჟუაზიის თვალთმაქცობა.**

**მოსკოვი.** აპრილის 17. იაპონიის ბურჟუაზიული პრესა ქადაგებს რუსეთთან დიპლომატიურ და სავაჭრო მოლაპარაკების აღორძინების შესახებ, მაგრამ იმავე დროს საძაგელ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მათი გაზეთები იუწყებიან ფანტასტიურ ფაქტებს—ვითომდა იაპონიის არსენალების აფეთქების მზადების შესახებ. მთელს ამ კამპანიას ნათლად აჩნია რუსულ თეთრგვარდიელების და ანტანტის სახელმწიფოთა გავლენის ნიშანი.

**ძალადობის გაორკეცება.**

**მოსკოვი,** 17 აპრილის. საფრანგეთ-ბელგიის მოლაპარაკების შედეგში გენ. დეგუტი მიიღებს ახალ ინსტრუქციებს რურის მმართველობის და კონტროლის შესახებ. საფრანგეთის [illegible] სელის კონფერენციის [illegible] შემთხვევაში არ მოი[illegible] გერმანიის მიერ სავსებით ასრულებული არ იქნება სარეპარაციო ვალდებულებები.

**ახალი ლობეები.**

**მოსკოვი,** 17 აპრილი. გენერალ დეგუტმა გერმანიის ხელის უფლების წარმომადგენლებს რურში გაუგზავნა ნახშირის გადაზიდ-გადმოზიდვის ახალი წესები, რომელთა ძალით აკრძალულია ნახშირის ტრანსპორტი უდოკუმენტოთ, რომელიც გაცემული უნდა იქნეს სამოკავშირეთაშორის საკონტროლო კომისიის მიერ. საზღვარზე უნებართვოდ გადასული დაისჯება 5 წლის საპყრობილეში ჯდომით. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ ამ ბრძანების ასრულება სრულიად შესწყვეტს ნახშირის ტრანსპორტს.

# ახალი ამბები

**ქალაქის აღმასკომში.**

— **ბინების ქირის განსაზღვრა.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა მოიწონა არჩილ რუხაძის პროექტი ბინების ქირის განსაზღვრის შესახებ. პროექტი გულისხმობს საბინაო გადასახადის გადიდებას.

— **ჟურნალის გამოცემა**—ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოსცეს სახალხო სამეურნეო საბჭოსთან შეერთებულად ჟურნალი „სახალხო მეურნეობა“. ჟურნალის 50 გვერდი დაეთმობა მუნიციპალურ და ქალაქის აღმასკომის მუშაობის სხვა და სხვა საკითხებს.

— **პურის ფქვილი აღმასკომის თანამშრომლებს**—ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა დაეთმოს აღმასკომის საწყობიდან 15 ფუთი თეთრი პურის ფქვილი თვითღირებულ ფასებში აღმასკომის ყველა თანამშრომლებს ნისიათ.

— **ბავშვების სასარგებლოთ ქალაქში შემოწირულებათა შეკრება.** ტფილისის ბავშვთა კოლექტორმა აღამსკომის პრეზიდიუმს თხოვნით მიმართა, რათა ბავშვების სასარგებლოთ ქალაქში შეკრებილ იქმნას შემოწირულებანი მილიციის საშუალებით, პრეზიდიუმმა პრინციპიალურად შესაძლებლად სცნო შემოწირულობის შეკრება. წინადადება მიეცეს ბავშთა კოლექტორს შეადგინოს კომისია, სადაც, თუ საჭიროა შეიყვანოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი. მილიციის მონაწილეობა ამ საქმეში პრეზიდიუმს დაუშვებლად მიაჩნია.

— **ზედმეტ საათების მუშაობის შემოღების.** აღმასკომის პრეზიდიუმმა მიიღო წინადადება ზედმეტ საათების მუშაობის შემოღების შესახებ.

**ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება.** ჯანმრთელობის განყოფილების გამგე მოხსენებით წარუდგა ამავე პრეზიდიუმს წყლის სანიტარულ თვისების გამოსარკვევად ქართული უნივერსიტეტის ჰიგიენურ კათედრისათვის 80 მილიონი მან. გაცემის შესახებ. პრეზიდიუმმა დაადგინა უარი ეთქვას აღნიშნულ წინადადებას, ვინაიდგან წყლის ანალიზს ახდენს ქალაქის ამბულატორია.

**წითელი დროშის შეძენა.** ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა მიეცეს სამმართველოს განყოფილების აღგილკომს 15 მილიონი მანეთი წითელ დროშის შესაძენათ.

— **ავტომობილებით მიმოსვლა.** თანახმად ა-წ. 17 მარტიდან ტფილისის აღმასკომის № 6 სავალდებულო დადგენილებისა, აღკრძალულია ტვირთმზიდავ ავტომობილების და ფურგუნების მიმოსვლა რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტებზე და სოლოლაკის და ჩერქეზიშვილის ქუჩებზე.

— **დაჰკარგე კონსტანტინე ამბაკოს ძე ბახთაძის სახელზედ** შრომის ბირჟიდან მოცემული წიგნაკი და სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა, ჩაითვალოს გაუქმებულად.

## ახლო აღმოსავლეთი

**ახ ლი ლოზანა.**

**ამერიკელი დელეგატები.**

**მოსკოვი.** აპრილის 17. გაზეთი „ტან“-ის ცნობით ამერიკის წარმომადგენლებათ ლოზანის კონფერენციაზე იქნებიან ჩაილდი და ადმირალ ბრისტოლი.

**ოსმალეთის დელეგაციის გამგზავრება.**

**მოსკოვი.** აპრილის 17. აპრილის 13. ანგორიდან გაემგზავრა ლოზანისაკენ ოსმალეთის დელეგაცია რიზა ნური-ბეის მეთაურობით.

**ფრანგების მოთხოვნილებები უმართებულოა.**

**მოსკოვი.** აპრილის 17. ფრანგების პროტესტი ჩესტერის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგ სტამბოლში უმართებულოთ ითვლება, ვინაიდან პროტესტის მოტივები, რომლებიც ემყარებიან საფრანგეთის ვითომდა უპირატეს უფლებებზე ნავთის კონცესიების მიმართ, არა მნიშვნელოვანი არიან.

**მთავრობის კრიზისი გრძელდება.**

**მოსკოვი.** აპრილის 17. მთავრობის კრიზისი შვეციაში გრძელდება. იუწყებიან რომ მეფემ კაბინეტის შექმნა მემარჯვენეთა ლიდერს კრიუგერს დაავალა.

**მუშათა საერთაშორისო მოძრაობა.**

**მბეჭდველთა გაფიცვა.**

**მოსკოვი.** აპრილის 17. ნორვეგიელ მბეჭდველთა გაფიცვა ხელსაყრელათ მიმდინარეობს: დამქი-

## მუშათა ცხოვრება

ამ რამდენიმე დღის წინედ ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მიმართვა; საბჭოს წევრების, პრესის, მუშა-მოსამსახურეთა და ყველა მოქალაქეთა მიმართ. მიმართვაში განმარტებულია, რომ აღმასკომის პრეზიდიუმს ფიზიკურად არ ძალუძს ფხიზელი თვალყური ადევნოს და შენიშნოს ყველა ის ფაქტიური დეფექტები, რომელსაც შეიძლება ქალაქში ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში ალაგი ჰქონდეს და მოუწოდებს ყველა ზემოაღნიშნულ პირებს და ორგანოებს, რომ მხარი დაუჭირონ პრეზიდიუმს და უმალვე აუწყონ შენიშნული ნაკლები დროზე ზომების მიღებისათვის.

აღმასკომის პრეზიდიუმის ასეთი მიმართვა მეტად მიზან-შეწონილია.

ჩვენის მხრივ სავსებით ვიზიარებთ პრეზიდიუმის მომართვას და ვეცდებით როგორც მოქალაქე, როგორც მუშა და წევრი ქალაქის საბჭოსი, ყოველი ჩვენი ენერგიით და მთელი მუშური შეგნებით დავეხმაროთ საბჭოს პრეზიდიუმს.

* * *

მაგრამ არის ისეთი საკითხი, რომელსაც აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას, ეს გარემოება გახლავთ **პრესის საკითხი.** ჩვენ პირდაპირ შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ყოველმა მოქალაქემ შენიშნული ნაკლი **პირადად** აუწყოს პრეზიდიუმს. ამისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს პრესა ყველა მოქალაქისთვის და განსაკუთრებით მუშებისთვის, ვინაიდან, ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად არის დაინტერესებული წითელი ქალაქის აღმშენებლობაში.

წინასწარ ვიცით, რომ გვიპასუხებენ:—„ვინ გიშლით მერე? პირიქით—მობრძანდით და რამდენიც გნებავთ სწერეთო“. დიახ, გვეტყვიან, თქმა ადვილი საქმეც არის, მაგრამ შესაძლებლობა სინამდვილეში სამწუხაროდ არ არის ადვილი.

ამას წინედ ერთი რუსი ამხ. მბეჭდავი მუშა შემხვდა, იგი მუშებში ცნობილია, როგორც კულტურულად, აგრეთვე პოლიტიკურად მომზადებული. ლაპარაკის დროს სთქვა, რომ დიდი სურვილი მაქვს ქართულ გაზეთებში წერისაო, მაგრამ.... და ხელი ჩააქნია. მე მას ცნობის მოყვარეობით შევეკითხე თუ რაშია საქმე მეთქი მან ნაღვლიანად მიპასუხა:—

—ეხ, ამაოა ჩემო დაიდკა ყველაფერი; ერთი ეს მითხარი, თუ რა ფასი აქვს ჩვენს წერას და დეფექტების გამომჟღავნებას გაზეთებში? განა ჩვენი ამხანაგები ყოველ დღიურად ცოტასა სწერავენ გაზეთებში? მაგრამ ვინ გიგდებს ყურსა?!. თუნდაც ერთი მაგალითი მიჩვენე—როდის იყო რომ ჩვენ დაწერილ წერილს ვინმე გამოხმაურებოდეს? ჩვენ კი ვწერავთ, მაგრამ დუმილით პასუხი, ისე გამოდის თითქოს ჩვენ ვსტყუოდეთ და ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას არაფერი ნაკლი თან არა სდევნიდეს ხან და ხან კი ისედაც გამოდის თითქოს ჩვენს ნაწერებს დემაგოგიის ხასიათი ჰქონდესო.

ამხანაგის ასეთმა გამოთქმამ მე კერძოდ არა თუ ჩამაფიქრა, არამედ ერთბაშათ გამომაფხიზლა. მართლაც გვინდა რუსი ამხანაგივით ვსთქვათ:—ჩვენ კერძოდ, ვინ მოსთვლის რამდენი წერილი მოვათავსეთ და რამდენ ჩვენი ცხოვრების ქუჩის მწვავე საკითხებს შევეხეთ გაზ. „ტრიბუნის“ ფურცლებზე, მაგრამ კაბინეტის ხალხს მაინცა და მაინც თავი კი შეუწუხებიათ?! ამიტომ სამწუხარო ფაქტები მაინც ალაგი აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ასეთი მოვლენა მოკლედ, რომა ვსთქვათ, იმითი აიხსნება რომ ჩვენ ერთი მეორისა არაფერი გაგვეგება. ან

## იაფეტიზმის კვალი

**სომხურ ენაში**

I

**ქართლის ცხოვრებაში** ამბად შემოტანილი ქართველ-სომეხთ საერთო შთამომავლობა ზოგიერთმა მკვლევარმა, რუს-სომეხთაგანმა, ყბად აიღო მხოლოდ იმ განზრახვით, რომ **ქართლის ცხოვრებას,** როგორც ქართველთ ერის საისტორიო წყაროს, ძალი და მნიშვნელობა დაჰკარგოდა მეცნიერთა თვალში.

რამ გამოიწვია ასეთი სურვილი მემატიანისა, რომ ქართველები და სომხები ძმებად გამოეყვანა, მის გამოკვლევას არ გამოუდგებით, მაგრამ სომხურის ნაირი სიტყვების ქართულ ენაში არსებობა სესხის ნაყოფი ეგონა სომხის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც საქმეში ჩახედული არ იყო.

**ქართლის და ჰაის** (ჰაი=ჰე=ხე) ნათესაობის საკითხი თავის-თავად დამყარდა მას აქეთ, რაც იპოვეს **ურ ჰალდუს***) და **ხეთის** ხალხთა ლურსმული წარწერები ვანის ტბის მიდამოებში კლდეებზე და ამოკითხვას შეუდგნენ. საკვირველია, რომ ივერისტები იმ წარწერთა ამოკითხვის დროს იხელმძღვანელებდნენ ქართულ ენას, ხოლო არმენისტები—სომხურსა.

ვინ იყვნენ ურ ჰალდუს და ხეთის ხალხნი? რომელი ხალხის ენაში იხმარება დღეს ეს სიტყვები? როგორც აღმოსავლეთის მკვლევარი მსწავლულები, ან ორიე ნტალსტები ამბობენ, ურ ჰალდუ და ხეთი ქრისტეს წინ საუკუნეში ორი ერთმანერთის მონათესავე ძლიერი ხალხი ყოფილა იაფეტიანთ გვარტომისა, როგორც აქად. ნ. მარი ამბობს, და დიდი კულტურის პატრონი. მიწა წყალი სჭერიათ მდინარეთა შუა ქვეყნით (მესოპოტამია) ვიდრე შავ ზღვამდე მცირე აზიაში: მაგრამ მათი პოლიტიკური ძლიერების დღენი დათვლილია მას აქეთ, რაც მეცხრე საუკუნეში არიელთა თესლ ტომის ნადირი ხალხი შემოჭრილა მათ ქვეყანაში, აუკლიათ და დაურბევიათ მკვიდრნი, მაგრამ გადაგვარებით იმდენად ვერ გადაუგვარებიათ, რომ მათი სახელი სრულიად აღეგავათ ქვეყნის პირზე. იმ ნადირ ხალხთა შემოსევას, როგორც სჩანს, დაუზარალებია უფრო **ხეთის** თემის **ერთი** ნაწილი ასე რომ დამპყრობელ დაპყრობილთ შერევნისაგან გაჩენილა ახალი ეთნოგრაფიული ჯგუფი დღევანდელი სომხობა, რომელიც თავის თავს **ჰაის** (ჰაი=ჰე=ხე) უწოდებს, ხოლო ჩვენ ვეძახით **სომეხს,** რომლისაც ძველი ფორმა იყო **მეხი,** წარმოებული **მე** პრეფიქსის დართვითა, როგორც მოითხოვს იაფეტიზმი. მაგრამ ხეთის დაურბეველ ნაწილსაც სახელი შერჩენია **მესხეთი,** წარმომდგარი მეხი სიტყვისაგან, რომელიც გამოთქმულა **ს** ევფონიური ხმის ჩართვით ჯერ კიდევ ბიბლიურ (მოსოხი) და ასურეთთან ბრძოლის პერიოდში (მუსხი). მესხი **ა** აფხაზურ პრეფიქს დართული და ხმათა შებრუნების წესით გამოთქმულა აფხაზი, აბფხაზეთი (აბესხი, აბხესი, აბესხეთი, აფხაზეთი). ხსენებული იმიგრაციის წყალობით სომხური ენა გაგრთულებულა, მაგრამ არც ისე, რომ ნ. მარის თქმით, არ მოეპოებოდეს ერთი ძარღვი, როგორც ნაშთი იაფეტიზმისა, რომლის წიაღშიაც ყოფილა მანამდე. ქართველ ტომთა ენებს კი (ქართულ ჭანურ სვანურ აფხაზურს) შეჰრჩენიათ იაფეტური სახიერება, თუმცა არიული ლექსიკა საკმაოდ შეუთვისებიათ.

ურ ჰალდუ და ხეთი ებრაელთა ცხოვრებაშიაც იხსენიება- ურ ჰალდუ, მოსე წინასწარმეტყველის თქმით. (დაბადება თ. 11 მ. 28 და 31) ყოფილა ის ქვეყანა, საითგანაც აბრაამ მამამთავარი გახიზნულა ქანაანს თავისი ხალხითა, რითაც დასდებია დასაბამი ებრაელთა გვარტომს და მის ისტორიას. ასე რომ ქვეყნის, ცხოველების და კაცის გაჩენის პირველი საყვარულის და სხვა ამბები ებრაელებს გაუტანიათ ურ ჰალდურ ქვეყნითგან. ხეთი კიდევ თვით ურიასტანშიაც ყოფილა ახალშენად მცხოვრები და ებრაელებთან დაახლოვებული როროგორც ამბობს ინგლისელი ორიენტალისტი სეისი (იხ. მისი **„ისტორია დავიწყებული სამეფოსი“**).

ურ ჰალდუ შეერთებულად უნდა გამოთქმულიყვეს **ურართუ** (ლ=რ; დ=თ), რაიც იპოვება ლურსმულ წარწერებში და რაიც ბერძნებისთვის შექმნილა **ალაროდ,** ხოლო **არარატად** ქცეული დაჰრქმევია სომხეთის მთების მიდამოებსა. ურ ჰალდუს წარმოება ჰქონია აგრეთვე ცალცალკე. **ურ** სომეხთათვის **ვირ**(ახალი ფორმა ვრაცი)და **ვრასტან,**ჩვენი ერის და ქვეყნის სახელად ხმარებული ბერძენ რომაელთათვის გამხდარა **ივერი** (ივირი),**ივერია**(ივირია), **იბერი იბერია,** დეკებისთვის **ავარ,** რასაც თავიანთ თავს უწოდებენ, ხოლო სპარსელებისოვის **ავირ.** **ჰალდუ** ქართველებისაგან **ქართულ** გამოთქმული ქცეულა ბერძენთათვის **კარდუ,** ანუ ძველებური **კარდუხი,** რომელიც ქართული ენის ძველებურ მრავალ რიცხვს წარმოადგენს და ითარგმნება ქართნი. ასეთივე ფორმის დარჩენილა სომხურში **ვირქ,** ძველებური **ურს** თანაბარი **ივერნი** სიტყვისა.

**ხეთი** წარმოებული სიტყვაა, რასაც ჰმოწმობს დაბოლოება **ათი,** თუმცა ძველად იხმარებოდა მრავალ რიცხვად **ხეთისი** ისევე, როგორც **კარდუხი.** მაშასადამე **ხეთი** ის ქვეყანა იყო, სადაც სცხოვრებდა ხალხი სახელად **ხე,** ანუ სომხური გამოთქმით **ჰაი** (ხ=ჰ; ე=აი). ქართულ გამოთქმაში **ხე** ორნაირად განვითარდა. ჯერ მიიღო იაფეტურ სემიტური თავსართი **მე** (მ), რის გამოც შეიქმნა **მეხი, სა** პრეფიქს თავდართული **სომეხი** (შეად. **სპარსი** ქართული გამოთქმა ფარსისა) და **მხე,** დარჩენილი როგორც დასაბამი, რომლისაგანაც წარმომდგარა გვარი **მხეიძე,** მერმე კიდევ ჩაურთავს **ს** ევფონიური, რომელიც გამხდარა **ც** და ამ გვარად მისცემია დასაწყისი **მესხს** (მუსხს), **მცხეთას, სამცხეს.** დღეს ექვივალენტად უნდა ჩაითვალოს ერთის მხრით **ჰაი, მეხი, სომეხი, მესხი, აფხაზი, მცხეთა, სამცხე** და **მოსოხ,** მოხსენებული ებრაულ ბიბლიაში, ხოლო მეორის მხრით **ვირ** (ვირქ), **ვრასტან, ივერი, იმერი, გურია, ეგერი** (ეგრისი, მეგრელი), ებრაელთა **თუბალ** და ბერძენთა **ტიბარ.**

შატბერდის **ქართლის მოქცევაში** ხმარებული სახელწოდება ქვეყნისა **არან ქართლი** წარმოადგენს იმნაირსავე რთულ სახელს, როგორიც იყო ურ ჰალდუ. რომელიც ერთად იხმარებოდა. მისი პირვანდელი სახე უნდა ყოფილიყო **ურნ ქართნ.** რაიც მრავალ რიცხვია. ასეთი წარმოება ძველად ყოფილა **ნ,** ანუ **ქ** სუფიქსის დართვითაც, რის მაგალითსაც გვაძლევს დღევანდელი სომხური, სადაც არსებობს **ჰაიქ** (სომეხნი; სომხეთი) და **ვირქ** (ივერნი ივერია).

(შემდეგი იქნება)

**პეტრე მირიანიშვილი.**

არა გვსურს გავიგოთ, რაიც საერთო საქმისთვის ძლიერ მავნებელია.

ალბად ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მიმართვა ამიერიდან ყოველგვარ გაუგებრობას მოსპობს და ყოველ ჩვენს შენიშვნებს თუ მხილებას შესაფერი შედეგი მოჰყვება.

ეს აუცილებლად საჭიროა ჩვენი ქალაქის აღმშენებლობისათვის. ამ შემთხვევაში პრესის და კერძოდ მუშათა გაზეთების საშუალებით მუშა-მოსამსახურეთა გამოყენებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

ვინ არის ფართოდ დაკავშირებული ჩვენს ცხოვრებასთან, თუ არა ჩვენი მშრომელი მასა? ვინ იცნობს ჩვენს ადმინისტრაციას, ბაზარს, სპეკულიაციას, მექრთამეობას, დაუდევრობას და ათას სხვა გვარ ბოროტ მოქმედებას—თუ არა მუშათა კლასი? რასა თქმა უნდა, რომ ეს ჭეშმარიტებაა და ამ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთ არა თუ მარტო ფართე ალაგი უნდა დაეთმოს პრესაში, არამედ მის ნათქვამს დიდი ანგარიშიც უნდა გაეწიოს ვისგანაც ჯერ არს.

თუ რომ ეს ასე იქნება, ჩვენ ვეცდებით ვამხილოთ ყველა ის შემჩნეული ბოროტ-მოქმედებანი, რომელიც ჩვენი ცხოვრების კუნჭულებში უეჭველად არის და რომლის თავიდან მოშორება ისეა წითელ ქალაქისათვის საჭირო, როგორც თევზისთვის წყალი.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

---

**საქართველოს ხელოვანთა—მუშაკების კავშირში.**

**არჩევნები და რევიზია.** აღნიშნულ კავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ მარტის თვის განმავლობაში განმართა ფართო კამპანია ადგილობრივ კომიტეტების ახალ არჩევნების შესახებ. აგრეთვე პირველი და მეორე სახელმწიფო კონსერვატორიების რევიზია მოახდინა ამავე განყოფილებამ. კავშირის სამაზრო განყოფილებებთან დაწესდა ცენტრთან მჭიდრო კავშირი.

**რურის მუშებისათვის დახმარების ფაგზავნა.** ამავე კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილებით რურის გაფიცულ მუშებს გაეგზავნა 30 მილიონი მანეთი დახმარების სახით.

**სრულიად რუსეთის ხელოვანთა—მუშაკების ყრილობა.** 25 აპრილს ქ. მოსკოვში გაიმართება სრულიად რუსეთის ხელოვნების მუშების ყრილობა, საქართველოს ხელოვანთა მუშაკების მე-3 ყრილობაზე არჩეულ იქმნა დელეგაცია მოსკოვის ყრილობაზე დასასწრებლად, დელეგაცია თფილისიდან გაემგზავრება 18 აპრილს.

**ლუნაჩარსკის წინადადება.** როგორც ვიცით საბჭოთა ფედერაციის ხელოვანთა ორგანიზაციის მეთაურმა ამხ. ლუნაჩარსკიმ წინადადება მისცა ხელოვანთა კავშირებს რათა მოსკოვში შექმნან ერთი გაერთიანებული ცენტრი ხელოვანთა ორგანიზაციისა, რომელიც განაგებს ხელოვანთა მთავარ საკითხებს. საქართ. ხელოვ. კავშირმა მიიღო აღნიშნული წინადადება.

**მედიკო-სანიტარულ კავშირში**

**საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა.** მარტის განმავლობაში საორგანიზაციო განყოფილებამ მოახდინა 53 კრება, (ქალაქის ფარგლებში) გაირჩა 144 საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიკო-სანიტარული კავშირი დიდ ინტერესს იჩენს ამ დარგში და მას დიდ ძალღონესაც აძლევს.

განყოფილებამ სიღნაღის მაზრაში მოაწყო მედიკო-სანიტარული მუშაკთა საერთო ყრილობა

ადგილკომების გაერთიანებულ ყრილობამ დაადგინა: გამოსცეს ჟურნალი „მედიკო-მუშაკი“ და დაარსოს ურთიერთ-დამხმარე კასსა.

**სექციების მუშაობა.** სექციების, როგორც მაგალითად საავთიაქო სექციები და სხვა, მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საორგანიზაციო განყოფილებასთან. ექიმთა სექციამ მარტში შეიმუშავა წანასწარი გეგმა ექიმთა ყრილობის მოსაწვევად.

**წევრთა რიცხვის რაოდენობა.** 1 აპრილისთვის აღრიცხვაზე (რესპუბლიკანურ ფარგლებში) აყვანილი იყო სულ—5.435 წევრი, მათ შორის ქალაქის ფარგლებში—3.488 კაცი, ადგილკომებში—2.700, სახელმწიფო მომარაგებაზე ირიცხება—1305 სამეურნეო მომარაგებზე ირიცხება—1305 სამეორნეო განყოფილებებში—1353, შრომის ბირჟაში—624.

**წერა-კითხვის უცოდინარობის წინაამდეგ.** წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად კავშირი აწარმოებდა მუშაობას როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში.

ტფილისში მედიკ-სანიტარულ კავშირს არ ჰყავს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წევრი. მაზრაშიაც წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვიც თან და თან კლებულობს.

**საკლუბო მუშაობა.** კულტ-განყოფილება საკლუბო მუშაობაში უმთავრეს ყურადღებას აქცევს სამკითხველოების და წიგნთ-საცავების გახსნას. კავშირი ცდილობს აგრეთვე რაც შეიძლება მეტი ჩააბას კულტმუშაობაში.

**პროფტექნიკური განათლება,** პროფტექნიკურ განათლების დარგში კავშირმა გახსნა ფერშლების მოსამზადებელი კურსები. კურსებს ინახავს კავშირი თავის ხარჯით.

გახსნილია აგრეთვე მოწყალე დების კურსებიც.

ფარმაცევტთა კურსებზე მეცადინეობა დასრულდა და ამ ჟამად სწარმოებს გამოცდები.

**მეცნიერული საზოგადოება.** კულტგანყოფილებამ მიიღო ზომები ფარმაცევტთა მეცნიერულ საზოგადოების დასაარსებლად. შემუშავდა საზოგადოების წესდება, რომელიც წარედგინა დასამტკიცებლად ჯანმრთელობის კომისარიატს.

**მუშათა კორესპონდენტები,** ყველა ადგილკომებმა თავიანთ წრიდან გამოყვეს მუშა-კორესპონდენტები, რომელნიც დრო გამოშვებით გაზეთებში მიაწვდიან საგულისხმო ცნობებს მუშათა ცხოვრებიდან.

16 მარტს მოხდა მუშა-კორესპონდენტების საერთო კრება. რომელმაც გამოიტანა დადგენილება მუშათა გაზეთებისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ქონლის ერთი ნაწილი გამოიგზავნება გემებით ჰამბურგიდან ბათუმში ამიერ-კავკასიის სახელმწ. ვაჭრობის სახელზე.

— **ამიერ-კავკასია და გერმანიის ბაზარი.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სავაჭრო წარმომადგენლის ამხ. მგალობლიშვილისაგან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ქვეყნის შიგნით დამზადებულ პროდუქტებზე დაბალ ფასების გამო, არის ხელსაყრელი ბაზარი მრავალ საქონლის შესაძენად, ისეთი საქონლის შესაძენად, როგორიც არის სასოფლო სამეურნეო იარაღები, მანქანები და მატორები, ელექტრონის ხელსაწყონი, მედიკამენტები, ქიმიური პროდუქტები, სალებავები და სხვა. მაგრამ ჩვენი ნედლი მასალის გასასაღებლად გერმანიის ბაზარი არ წარმოადგენს დღეს დიდ ინტერესს გერმანიის კატასტროფიულ ეკონომიურ მდგომარეობის გამო, რომელიც გამოწვეულია უკანასკნელი პოლიტიკური გართულებით ამიერ-კავკასიის წარმოების ისეთი პროდუქტები, როგორიც არის ამრეშუმის პარკზე, ნოხებზე, ხიზილალაზე, საბზაზე, ძვირფასი ხე-ტყის მასალაზე და სხვა თითქმის სრულიად არ არის მოთხოვნილება. გასაღდება მხოლოდ შავი ქვა, მანქანის ზეთი და სხვა ისეთი პროდუქტები, რომელიც საჭიროა გერმანიის მეტალურგიის და ქიმიური მრეწველობისათვის.

მაგრამ ყველა ჩვენი საქონელი, რომელიც არ სალდება გერმანიაში, შეიძლება იქნას გაყიდული სხვა ქვეყნებში ჰამბურგის საშუალებით, რომელიც თავისი მდგომარეობით, არის მსხვილი სავაჭრო ცენტრი მეზობელ ქვეყნებისათვის.

— **მატყლის შეძენა.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გახსნა ტფილისში მოედანზე პუნქტი მატყლის შესასყიდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **თამბაქოს დამზადება აფხაზეთში.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სოხუმის განყოფილება იტყობინება, რომ მეთამბაქოებთან მოლაპარაკებით იღებს თამბაქოს მეორე პარტიას. ამჟამად იტვირთება გემი „მიხეილ არხანგელი“. სოხუმში უკვე დატვირთულია 10.137 ფ. და 31 ნახ. გირ., გუდაუთში დაიტვირთება 6.199 ფუთი და 4 გირ, გაგრაში—10 000 ფუთი. სულ უკვე გამოტანილ 15 080 ფ. და 35 გირ. თამბაქოს ჩათვლით, მეთამბაქოებმა გამოგზავნეს მაისამდე დაახლოებით 48.000 ფ. თამბაქო.

— **ბათომის ნავთსადგურის ექსპლოატაცია** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ, დაადგინა მოიწონოს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ამხ. იზეევის წინადადება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს და მოხალისე ფლოტის მიერ ბათომის ნავთსადგურის და საწყობის ექსპლოატაციის შესახებ. მოხალისე ფლოტთან მოლაპარაკებას უკვე შეუდგენ. ბათომის ნავთსადგურის შეკეთება საქართველოს ზღვის ტრანსპორტის სამმართველოსთან მოლაპარაკების თანახმად გრძელდება. დაპირებულ თანხიდან კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას სარემონტო მუშაობის საწარმოებლად გადაეცა 2 მილიარდი მან.

---

# სხვა და სხვა

— **ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირი.** ახლო მომავალში კარლსბადში შესდგება მესამე საერთაშორისო ჭადრაკის ტურნირი, ცნობილი მეჭადრაკების მონაწილეობით

— **გერმანელი იესო ქრისტე.** ოლდენბურგის ნაფიც მსაჯულების წინაშე, გერმანიაში, ამ დღეებში წარსდგება ლუი გეისსერი, რომელიც თავის თავს გერმანელ იესო ქრისტეს უწოდებს; მან თავის გარშემო მრავალი მორწმუნე შემოიკრიბა. ომამდე გენსსერი პარიზში სცხოვრობდა და იქ სხვა და სხვა ძნელ საქმეებში იყო გართული; ომის გამოცხადების შემდეგ ის გადაასახლეს, როგორც მტრული სახელმწიფოს ქვეშევრდომი და ის გადმოსახლდა გერმანიაში, სადაც მან უცბათ იკისრა მთელი ქვეყნის აღორძინების მისსია. მის მოძღვრებას განსაკუთრებული გასავალი ქონდა გერმანიის არისტოკრატიულ წრეებში და განსაკუთრებით ქალებში. ეს საქმე დახურულ კარებში ირჩევა,

— **როგორ იყო გამოგონებული საბეჭდი მანქანა.** ერთ ინგლისურ გაზეთში მოყვანილი არის დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იქნა გამოგონებული საბეჭდი მანქანა. ის გამოიგონა 1867 წელს ქრისტეფორ ლატამ ხოლსმა; მან რამდენჯერმე გამოიცვალა თავისი წოდება; იყო ასოთ-ამწყობი, პარლამენტის წევრი და ბოლოს გახდა ერთი პატარა გაზეთის რედაქტორი მილფოკში, რომლის ბინაც ტელეგრაფის სადგურს ზევით იმყოფებოდა. აქ მას საშვალება ქონდა გაცნობოდა მორზეს აპარატს და ამ აპარატის მსგავსათ ხოლსმა პირველათ გააკეთა საბეჭდი მანქანა, რომელიც შესდგებოდა ძველ ტელეგრაფის აპარატიდან, მინის დაფიდან და რამოდენიმე ხის ნაწილისაგან. ამ პირველ საბეჭდ მანქანას არ ქონდა ლენტი და მის მაგივრათ გადამდებ ქაღალდს ხმარობდენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ხოლსმა ახალი მოდელი გააკეთა, რომელიც როიალის კლავიატურას გავდა და ყველაზე უფრო უახლოვდებოდა თანამედროვე საბეჭდი მანქანის აგებულობას. ამ რიგად საბეჭდი მანქანა 50 წელზე მეტი არის რაც არსებობს.

— **ეინშტეინი და ხალხთა ლიგა.** „ტანის“ ცნობით პროფ. ეინშტეინის უარის გამოცხადებამ ხალხთა ლიგის საერთაშორისო ინტელექტუალურ თანამშრომლობის კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე, შვეიცარიულ პრესაში დიდი ყურადღება გამოიწვია. „ტანი“ ირწმუნება, რომ ეინშტეინს ამით სიმპატიების მოპოება სურს გერმანელ პატრიოტებში, რადგან მალე ის გერმანიაში დაბრუნებას აპირობს. შვეიცარიული გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევ“ აღნიშნავს ეინშტეინის პოზიციის ორმაგობას, რომელიც თუმცა შვეიცარიელია პასპორტით, მაგრამ ამავე დროს დიდი გერმანელი პატრიოტია.

---

# ეკონომიური ცხოვრება

**უცხოეთი.**

— **მსოფლიო საზღვაო ტრანსპორტის გაუმჯობესება.** მსოფლიო ტრანსპორტის მდგომარეობას გასული წლის დასასრულს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო. მგზავრებისა და ტვირთის უქონლობის გამო უმოქმედო გემები, რომლებიც მეტად დიდ რეზერვს შეადგენდენ თითქმის ყველა ქვეყნებში,—ახლა ისევ ამუშავდენ. საერთოდ, რეგულიარული რეისის გემების რიცხვი გაიზარდა 1921 წლის დასასრულთან შედარებით 2.000.000 ტონით. ეს უთუოდ მაჩვენებელი არის მსოფლიო სფრახტო ბაზარზე კრიზისის სერიოზული შენელებისა. გაუმჯობესება სხვადასხვა ქვეყნებს არაერთგვარათ ეხება, ხოლო იტალიის მხრივ გაუარესებასაც კი აქვს ადგილი. შემდეგი ცხრილი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ ქვევით ჩამოთვლილ თითოეულ ქვეყანაში რამდენი გემი იმყოფებოდა რეზერვში უმოქმედოთ 1922 და 1923 წლების პირველი იანვრისათვის:

| | 1922 წლის 1 იანვარს. ტონნა. | 1923 წლის 1 იანვარს. ტონნა. |
|---|---|---|
| სახელმწ. ნავოსნობის გემები შეერთ. შტატებში | 4.414.000 | 4.411.000 |
| ნავთის ჩასასხმელი გემები შეერთ. შტატებში | 214 000 | 214.000 |
| კერძო ნავოსნობის საზ-ბის გემები შეერ. შტ. | 781.000 | 703.000 |
| დიდი ბრიტ. | 1.961 000 | 1.800 000 |
| საფრანგეთი | 1.085.000 | 730.000 |
| იტალია | 585.000 | 772 000 |
| ჰოლანდია | 327.000 | 330.000 |
| ნორვეგია | 207.000 | 53.000 |
| შვეცია | 204.000 | 22 000 |
| საბერძნეთი | 170 000 | 116 000 |
| იაპონია | 120.000 | 90.000 |
| ბელგია | 275.000 | 275.000 |
| დანია | 161.000 | — — |
| ესპანეთი | 530.000 | 520.000 |

ცალკე აღებული ციფრები სპეციალურ ყურადღებას ითხოვენ. თვალსაჩინოა მაგ., რომ შეერთებულ შტატებში, მიუხედავათ საერთო სასურველი ეკონომიურ კონიუქტურისა, სახელმწიფოებრივ ნავოსნობაში კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა, მაშინ როდესაც კერძო სანავოსნო საზოგადოებათა საქმე ძალზე გაუმჯობესდა. მეტად გაუმჯობესდა სკანდინავიის საზღვაო ტრანსპორტი, რომელიც ოკნკურენციას უწევს სხვა ქვეყნებს. მნიშვნელოვანათ გაუმჯობესდა აგრეთვე საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის საზღვაო ტრანსპორტი; სერიოზული გაუმჯობესება ემჩნევათ საბერძნეთსა და იაპონიასაც.

**საქართველო.**

— **მუხრავანის მალაუბერის მარილის წარმოება.** მალაუბერის მარილის წარმოება მუხრავანში განახლდა ს. მ. უ. ს. დადგენილებისა და საჭირო თანხის გაღების შემდეგ ამჟამათ მუშაობა სრული წესრიგით სწარმოებს. დიდებულია ხელშეკრულება მთავარ საკურორტო მართველობასთან ბორჯომის შუშის ქარხნისათვის 9.000 ფუთი გლაუბერის მარილის მიწოდებაზე, ამ ანგარიშში 4.000 ფ. უკვე გაგზავნილია.

— **რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოდან იგზავნება სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგების ექსპონატები: მევენახეობის, მეთამბქოობის, მეაბრეშუმეობის, მესაქონლეობის და სხვ. საქართველოსათვის დათმობილი არის პავილიონი დიდი პარკის ფონზე.

— —

— **ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დაკვეთა გერმანიაში.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობა გერმანიაში იტყობინება, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დაკვეთა, რომელიც მოხდა წარმომადგენლობის საშუალებით მთლიანად არის შესრულებული და ამ დღეებში გამოიგზავნება ტფილისში. დაკვეთა მოხდა საწერ მანქანების სათადარიგო ნაწილებზე, კინო-ლენტის ნეგატივისა და პოზიტივზე, აპარატებზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის მასალებზე, ტფილისის სამხედრო სასწავლებელთათვის წიგნებზე, საწვიმარ მოსასხამებზე, საათ სეკუნდომეტრებზე და სახელოსნოს საბურავი 2 დაზგაზე. დაკვეთილ სა-

# პროვინციაში

**ახალ-სენაკი. 10 აპრილი.** ახალ-სენაკის სახალხო განათლების განყოფილება ხსნის პედაგოგიურ მუზეუმს შემდეგი განყოფილებებით: ეტნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო—ისტორიული და საბავშვო ბაღი. მუზეუმს საჩვენებელი ხასიათი აქვს. ძალიან შესაძლებელია, რომ მუზეუმი მოძრავათ გადაკეთდეს, რათა ამ მუზეუმით შეეძლოს სარგებლობა რაიონებს; აბაშა, მარტვილს, ჩანძას, სალხინოს, ძველ სენაკს, ნაძალადევსა და სხვებს.

**ბანდიტიზმის ლიკვიდაცია. 12 აპრილი.** ბანდიტიზმთან ბრძოლა გრძელდება მთელს მაზრაში გაძლიერებული ტემპით. სამაზრო მილიცია ამ მხრით დიდ ენერგიას იჩენს. ამ დღეებში მოკლულია რამოდენიმე ავაზაკი. ბანდიტები საბოლოოდ დეზორგანიზაციას განიცდიან, მათი ბრბოები დამარცხებულნი არიან და ამ ჟამათ მხოლოდ ერთეულ დაცემებს ბედავენ, რომლებიც ბანდიტიზმის ლიკვიდაციის იმავე კამპანიის საშვალებით ამ დღეებში სრულიათ აღმოიფხვრება.

---

**ს. ახკანა (გურია).** თუ მხედველობაში მივიღებთ ინტელიგენციის ლტოლვას ცენტრისაკენ, პროვინციის ცხოვრება ჩაიორჩენილი უნდა იყოს, მისი მაჯის ცემა მოდუნებული.

სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მოწინავე სოფელი ამ ჩამორჩენილობას თავს აღწევს. შთაბეჭდილება, რომელიც ს. ასკანაში მივიღე, იმედის აღმძვრელია. [პროვინციის წინსვლას ხელს უშლიდა (და ეხლაც უშლის ზოგ ადგილას) სათავეში მდგომი ამხანაგების მოუმზადებლობა მათი მიზან—შეუწონელი ნაბიჯები და ოპოზიციონურათ განწყობილ ელემენტების ყოველ ნაბიჯზე და ყოველ საკითხში წინააღმდეგობა...

მკითხველთათვის ცნობილია გურიაში დატრიალებული უკანასკნელი ამბები: ბანდიტების თარეშით გამოწვეულმა რეპრესიებმა ზოგი უდანაშაულო იმსხვერპლა.

გურიაში განადგურდა ბევრი ისეთი ქონება, რომლის დაკარგვა სრულებით არ შეაწუხებს და არც დააზიანებს ყაჩაღებს.

მაგალითისათვის მოვიყვან ერთ შემთხვევას. ყაჩაღებთან ბრძოლის მიზნით ს. ასკანაში იდგა რაზმი ჯარის კაცებისა. რაზმის უფროსი რამოდენიმე ჯარის კაცით მოთავსებული იყო მოქ. სოლჭეიშვილის სახლში, რომელიც ტფილისში იყო წასული. ჭეიშვილის სახლში მყოფ ჯარის კაცებს აუყრიათ იატაკი, ჩასულან სარდაფში და სრულიათ გაუნადგურებიათ ღვინო და სხვა სასმელები. აღსანიშნავია, რომ სარდაფში იყო შენახული ცოლიკოური, ციცქა და ჩხავრის ღვინოები 25 წლის. სხვა საზღვარგარეთელი სასმელები, მაგ. 1812 წლის კონიაკი, რომელიც იშვიათად იშოვნება ეხლა; დაზიანებულია (შეიძლება შემთხვევით იატაკის აყრის დროს) საზღვარგარეთიდან გამოწერილი საუკეთესო ფირმის ყურძნის საწნეხი და დაკარგულია ოჯახის უსაჭიროესი ნივთებიც. ზარალი ათეული მილიონების არის.

ადგილობრივ ხელისუფლების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ამ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღო. ბოროტ-მომქმედნი დაპატიმრებულნი არიან. გამოძიება სწარმოებს.

სხვათა შორის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ს. ხიდისთავში აღმოაჩინა და პატრონს დაუბრუნა ხალიჩა, რომელიც „კომანდირის“ ეჩუქებია „კურსანტისათვის“ მაშინ, როცა ამ უკანასკნელს ჯვარი დაუწერია კალანდაძის ასულზე.

ვიმედოვნებთ წესრიგისათვის მოწვეული უწესო „კომანდირები“ დაუსჯელნი არ დარჩებიან და ადგილობრივი, ხელის უფლება ამ მეორე ტიპის ყაჩაღებისაგან დაიფარავს მოქალაქის ქონებას და თავისუფლებას.

სასწავლებლის ეზოში, რომელიც ამდენ ხანს უსარგებლო იყო, მოწაფეები შეუდგენ ბაღის შენებას. ეზო შელობილია და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს დაწყებული მუშაობა.

ადგილობრივი ეკლესია გადაკეთებულია სახალხო სახლათ ეს დიდი და საუკეთესო ხის მასალისაგან აგებული შენობაა, სრულიად ახალი, ძალიან აუვილათ მოეწყობა ქანდარის გაკეთება და დაიტევს დაახლოვებით ოთხას კაცს.

9 აპრილს უ. დ. სასწავლებლის გამგემ კ. ცქვიტინიძემ ყოფილ ეკლესიაში გააკეთა მოხსენება სარწმუნოებაზე; თანამომხსენებელი იყო ამავე სკო-

ლის მასწავლებელი ვ. ჯაველიძე. ჩვენი პარტიის სახელით ილაპარაკა ამხ. ჰ. ჭეიშვილმა. ორატორები აღნიშნავდენ, რომ სარწმუნოება თანდათან ჰკარგავდა ნიადაგს ხალხში და კერძოთ კი ამ კარგი შენობის გაცდენა იმ ორიოდე მოხუცებულისათვის, რომელიც მორწმუნეთა სიას შერჩა, მიზანშეუწონელი იყო. ხალხი სიამოვნებით უსმენდა და ტაშით აჯილდოვებდა ორატორებს. მოხსენების შემდეგ ახალ გაკეთებულ სცენაზე გაიმართა ცეკვათამაში.

დამსწრე საზოგადოების თხოვნით საუკეთესო ძალებმა იმღერა „ნადური". ამ სიმღერას იწყებდა 70 წლის მოხუცი ლომინ ნაცვალაძე. ეს დამწყები და საუკეთესო მთქმელია „ნადური"-ს. ალბათ ასკანის ჯანსაღი და სალი ბუნებაა მიზეზი, რომ ამ მოხუცს შერჩა ძალიან და ზარივით ხმა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცქვიტინიძე და ჯაველიძე, რომლებიც მოხსენებით სარწმუნოების წინააღმდეგ გამოვიდენ, მენშევიკებია. კარგია, ყველა მენშევიკი რომ უარყოფდეს ახირებულ თავმოყვარეობას და ზოგიერთი საკითხის განხორციელებაში, რომელიც ყველასათვის მისაღებია და ხალხისათვის სასარგებლო, მხარს დაუჭერდეს კომუნისტებს.

ფ.

P. S. „კომუნისტის" 81 ნომერში მოთავსებულია ამხ. „დამსწრე"-ს კორესპონდენცია, საიდანაც ვტყობილობთ, რომ მიტინგის დადგენილებით ასკანის ყოფილ ეკლესიას გუმბათი უნდა მოაძრონ. ამის განხორციელება უაზრობა იქნება. ეს გამოიწვევს დიდ ხარჯებს, თეატრში ნაკლები სინათლე იქნება და ისე მჭიდრო და საფუძვლიან სახურავს, რომელიც ეხლა აქვს ვერ გააკეთებენ. სახურავი კი, რომელსაც წამწვეტებული თავი აქვს, არსებითად არ არის დამნაშავე და არაფერს არ აფუჭებს.

ტფილისის საოპერო თეატრიც გარეგნობით გუმბათიან ტაძარს წააგავს, მაგრამ არავის მოუვა თავში ფიქრად სახურავი გადააძროს ამ თეატრს...

ფ.

# საუბარი გლეხთან.

## გადაარჩიეთ სათესლე სიმინდი

### მშრომელო გლეხებო!

დადგა სიმინდის თესვის დრო.

სათესლეთ საუკეთესო სიმინდი გადაარჩიეთ.

გადარჩეული თესლი თავდებია კარგი მოსავლისა.

უნდა გახსოვდეთ, რომ სათესლე მასალის ღირსება ტაროს, მარცვლის და ნასახის სიავკარგეზე დამოკიდებული.

არ დაივიწყოთ, რომ კარგ სათესლე მასალას შემდეგი თვისებები ახასიათებს:

1. ტარო, რომლიდანაც სათესლე მასალას იღებთ, უნდა იყოს გრძელი.

2. სიგრძესთან ერთად მას უნდა ჰქონდეს შესაფერისი სიმსხოც.

3. ტაროს სიმსხო ბოლოდან თავსადი შეძლებისადაგვარათ თანაბარი უნდა იყოს.

4. რიგები ტაროზე სწორათ უნდა მიდიოდეს და მარცვლები ერთი მეორეში არ ირეოდეს.

5. რიგები ტაროზე და მარცვლები რიგებში მჭიდროთ უნდა იქნენ ერთი მეორეზე მიკრულნი.

6. ტაროს წვერი უნდა იქნეს მორგვალებული და კარგათ ამოვსებული ერთგვარი და სწორი მარცვლებით.

7. ტაროს ბოლოც კარგათ უნდა იქნეს ამოვსებული მარცვლებით.

8. ნაქურჩელი უნდა იყოს რაც შეიძლება წვრილი და მსუბუქი.

9. ფუჩეჩი თხელი და ნაზი.

10. ტაროს ფეხი—მოკლე და საკმაოდ მსხვილი.

11. სათესლე მარცვალი უნდა იქნეს ჯანსაღი და უნაკლო (არ უნდა იქნეს დაზიანებული).

12. სათესლე მარცვალი უნდა იქნეს გრძელი და მძიმე.

13. სათესლე მარცვლებს უნდა ჰქონდეს სოლისებური მოყვანილობა.

14. სათესლე მარცვლები უნდა იქნეს ერთგვარი, როგორც ფერით, ისე მოყვანილობით.

15. სათესლე სიმინდი აღებულ უნდა იქნეს ტაროს შუა ნაწილიდან, თავის და ბოლოს მარცვლები სათესლეთ არ გამოდგება.

16. სათესლე მარცვლებს დიდი ნასახი უნდა ქონდეთ.

17. თუ მარცვლებს ნასახის ბოლოში შავი წერტილი აქვთ, ასეთი მარცვლები სათესლედ არ უნდა იხმაროთ.

ეცადეთ სათესლეთ ისეთი სიმინდი გადაარჩიოთ, რომლებიც ამ მოთხოვნილებების უმრავლესობას აკმაყოფილებს.

ამით მომავალი მოსავალი თითქმის უზრუნველყოფილი იქნება.

გახსოვდეთ, რომ რასაც დასთესავთ, იმას მოიმკით. („მიწის მუშა").

გ. ა—ძე.

### შავი—დამწვარი—ნიადაგი

ეხლა ვნახოთ თუ რა არის შავი—დამწვარი—ნიადაგი. გავითვალისწინოთ რა პროცესი იწვევს ნიადაგის გაშავებას და რამდენათ სასარგებლოა ასეთი ნიადაგი.

როგორც ყველამ იცის, ნიადაგი ყოველ წლივ იფარება ბალახ-ბულახით, ხოლო ხეები ფოთლებით. რამდენიმე ხნის შემდეგ ბალახი ხმება, ხეებს ფოთლები სცვივა და ყველა ეს ნიადაგს უერთდება. ასეთი პროცესი მეორდება ხოლმე რამდენიმე ასეული წლების განმავლობაში; ბალახი და ფოთლები მიწას უერთდება, ლპება, ნიადაგი სუქდება და შავს ფერს ღებულობს. ბალახისა და ფოთლების დალპობა ხდება, როგორც ნესტიანს, ისე მშრალს ნიადაგში. მშრალს ნიადაგში ლპობა ხდება მხოლოთ მაშინ, თუ ნიადაგი ფხვიერია. ამ რიგათ, ნიადაგი, რომელიც დღეს შავ მიწას წარმოადგენს და საუკეთესო მოსავლიან ადგილათ ითვლება, წინათ იყო თიხის, თიხნარი და სხვ. მაგრამ ნიადაგში მცენარეულების შერევის და მათი იქ დალპობის გამო ნიადაგი გასუქდა და დღეს სულ სხვა სახე აქვს. შავი ნიადაგი მეტს და დიდხანს ინახავს სისველეს ვიდრე თიხა, თიხნარი, სილა და სხვა., რის გამოც ასეთ ნიადაგზე მცენარე უზრუნველყოფილია საჭირო წყლით, რაც მცენარისათვის ერთათ-ერთ აუცილებელი საგანს წარმოადგენს. გარდა ამისა შავს მიწაში ბევრია მასაზრდოებელი ნივთიერებანი და ყოველი მცენარე საზრდოს სიუხვით წელ გამაგრებულია.

ყველა ზემო ნათქვამიდან სჩანს, რომ „მცენარეულობა ლპობისას ნიადაგში იქცევიან იმ ნივთიერებათ, რისგანაც თვით არიან წარმომდგარი ე. ი. იქცევიან საზრდოთ მომავალი (ახალი) მცენარეთათვის".

როგორც წინათ ვსთქვით, თიხის, თიხნარის და სხვ. ნიადაგის შავ ნიადაგათ გარდაქმნა ხდება ასეული წლების განმავლობაში. ამ პროცესის დროს მცენარეებს ნიადაგში ჰაერიდანაც ჩააქვთ მასაზრდოებელი ნივთიერება, რომელნიც დალპობისას იქ ქმნიან გვარჯილას, ხოლო ასეთი ნიადაგი კი საუკეთესოა მცენარისათვის.

თუ ასეთი პროცესი—მცენარეთა ლპობა ნიადაგში—ჭაობიან ადგილში ხდება, იქ გვარჯილა არ იქმნება და ასეთი ნიადაგი მეურნეობისათვის სასარგებლო არ არის. ასეთი ნიადაგი მდიდარია ტორფით, ხოლო ტორფიანი ნიადაგი მცენარის ცხოვრებისა და განვითარებისათვის ვერ ქმნის საჭირო პირობებს. ასეთი ნიადაგი უსარგებლოთ რომ არ დარჩეს და ზარალიც დიდი არ მოიტანოს, ვინაიდან ჭაობიან ადგილებში ციებ-ცხელება იოლათ ვრცელდება ხოლმე—ხელოვნურათ უნდა ამოვაშროთ და შემდეგ ისეთივე სასარგებლო იქნება, როგორც შავი მიწის დამწვარი ნიადაგი.

ი. გოგირიშვილი.

# ხელოვნება

## სახალხო სახლი.

„გზა-ჯვარედინზე". პარასკევს, აპრილის 13, პოლიტიკური განათლების ქართული დრამატიული დასის მიერ, პირველად ამ სეზონში, წარმოდგენილი იქნა ნ. ვერგესელის დრამა „გზა-ჯვარედინზე".

ქართული ღარიბი დრამატურგიისათვის გერგესელი ახალი და მნიშვნელოვანი ძალაა. როგორც დრამატურგი მწერალი, იგი ფსიქოლოგიური სკოლის მიმდევარია. ამ მწერლის შემოქმედების ყოველ ნიმუშში არის ცდა ტიპის დასახვის, ტრაგიული კვანძის შექმნის. ამითაა დრამა ურთულესი და უმძიმესი ხელოვნების სხვა დარგთა შემონაქმედთან შედარებით. აქ ხშირად გერგესელი სუსტია; ტიპად მონაცემი სახე, ზოგჯერ განვითარებასაა მოკლებული და არ გვეძლევა სრული ნიშნის ქვეშ. დრამის კვანძი მარტივია და ამდენადვე ძნელია მის რიტმიული გაშლა. ამით სუსტია მისი შინა-ფორმა და უსისხლოა გარე-ფორმა (ტეხნიკა). სასცენო ტეხნიკა კი დიდ შესწავლას მოითხოვს ყოველ დრამატურგისაგან, და ამ შემთხვევაში გერგესლისათვის აუცილებელია მისი დაკვირვებით ამოცნობა. ტეხნიკის სისუსტე ყველა მისი ნაშრომის თანახლებით. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავათ ახალგაზრდა დრამატურგი კარგი მერმისის ნიშნითაა დანათლული.

არაკი „გზა-ჯვარედინზე" მარტივია (თუმც იგი ოთხ მოქმედებაშია გაშლილი) ასოთ-მჭრელი ღარიბი მუშის, მუსიკის მოყვარული ქალი, რომელსაც უყვარს თავისი ძმის ამხანაგი, იმავე დროს შეუყვარდება სახლის პატრონს. ძმა და მიჯნური მოინდომებენ ბინის დაცლას. ქალი არ სთანხმდება და სნეული მამით რჩება იმავე ბინაზე, რის შემდეგაც ის იძულებულია გაყვეს სახლის პატრონს—მუსიკალური ხელოვნების მიმდევარს. სახლის მდიდარი პატრონი ჩქარა იკლავს ხორციელი სილამაზით გამოწვეულ ჟინიანობას და სხვა ქალთან სცდილობს კავშირის დაჭერას რამდენიმე ხნის შემდეგ. ხოლო მისი მეუღლე ამ ამბით საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდის.

დეტალები შესაფერისად ავსებენ ჩონჩხს, მაგრამ დასრულებული სახე მაინც არაა მოცემული, თუმც მისი (სრულობის) წარმოდგენა ადვილად შეუძლია მსმენელს.

სახალხო სახლში ამ პიესის დადგმა დამაკმაყოფილებელია. შ. დადიანს ეკუთვნის იგი. მთავარ როლს (ლენა) ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ქალი ანკარა. უკანასკნელი სხვა როლებშიც გვინახავს. მას უსათუოდ ეხერხება ტრაგიული მომენტების განცდა. მაგრამ აკლია ცოდნა სასცენო პლასტიკა. მისი „ლენა" შეზღუდულია და პირობითი. მსახიობი გრძნობს, რომ სცენაზეა და ასობითაა თვალები მისკენ მიპყრობილი. ის არაა თავისუფალი. ხშირად უდიდესი მომენტები შეუმჩნევლად ეკარგება მას, ლენას ნერვიოზულ მდგომარეობა დააქრობს ცხელ ტემპს. „ლენა" ანკარისაგან უფრო მეტ შესწავლას მოითხოვს.

ლუკა—ეს პატარა მაგრამ მძიმე როლია. მას რომანიშვილი ასრულებს. ეს მსახიობი ნიჭიერია აუცილებლად. „სახალხო სახლში" მისი ყველა გამოსვლა გამარჯვებით თავდება. მისი „ლუკა" ამ საღამოს უნაკლოა.

„ლევანი", გოძიაშვილია. საერთო შთაბეჭდილება კარგი დასტოვა. ცალკე მომენტები ხშირად დაუმუშავებელია. ვერ მოგვცა ლევანი მთვრალი,—ლევანი იჭვით, სუსტია გამოთხოვება მისი.

„ვლადიმერი",—ნინიძე. მისი პირველი საუბარი ლენასთან მეტათ თავისუფალია. ვას თითქოს ავიწყდება, რომ ლენას სხვა პატრონი ყავს და სცენაც ლენასავე სახლშია. მესამე მოქმედება მშვენივრად შესრულებულია. მეოთხე მოქმედების უკანასკნელ მომენტში ნინიძის „ვლადიმერი" სუსტია უსათუოდ.

სანდროს (თავდგირიძე) აკლია რევოლიუციონერის რიხი. პირველ მოქმედებაში და ზღვარ დებულია მისი გამბედაობა მეოთხე აქტში.

ილია (ადამიძე) მოსაწონია ზოგადათ.

მსახურნი ანსამბლს ხელს უწყობენ. პიესა ცოცხლად სრულდება.

გ. თ—ლი.

**ახალი ოპერა „ცისანა".** 10 მაისს ამა წელს სახელმწიფო ოპერაში საუკეთესო ძალების მონაწილეობით დადგმულ იქნება ახალი ქართული ოპერა ვიქტორ დოლიძისა „ცისანა".

**„ქეთო და კოტე" რუსულ ენაზე.** ახალგაზდა კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე რუსეთში გამგზავრების წინ, სადაც წავა მისი ოპერები, დგამს თავის მხიარულ ოპერას „ქეთო და კოტე"-ს რუსულ ენაზე აპრილის ბოლო რიცხვებში.

**„რომანი" ქართულ ენაზე.** ამ დღეებში რუსთველის თეატრში გაიმართება ახალგაზდა მსახიობქალის ალისა ქიქოძის საღამო. მიდის პირველად ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა „რომანი".

**უფირილა**—ადგილობრივი საყდარი გადაკეთებულ იქმნა თეატრად. შედგა დრამატიული წრე ახალგაზრდებისაგან, [illegible] დგამს საყდარ-თეატრში. პირველი წარმოდგენას კლუბის ოფიციალური [illegible]

**მუშების კლუბი.** ქალაქის წყალსადენ სახელოსნო მუშების ადგილკომმა დაიქირავა შენობა, სადაც იხსნება კლუბი. მუშაობა უკვე დაწყებული არის. უკვე გაიმართა რამოდენიმე საღამო და კონცერტი. კლუბთან შედგა მოსამსახურეებისაგან დრამატიული წრე „სახალხო სახლის" მსახიობების ხელმძღვანელობით.

**გაზ. „რუბიკონი" და „ლომისი".** ქართველ მწერლების გაზეთები „რუბიკონი" და „ლომისი". ტეხნიკურ მიზეზების გამო დროზედ არ გამოვიდნენ.

**ია კარგარეთელის იუბილე.** სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი ამა წლის მაისის 5-სა. სახელმწიფო პირველ კონსერვატორიაში იუბილეს უმართავს დამსახურებულ მუსიკოსს და საზოგადო მოღვაწეს ი ა კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ს.

**საბავშო თეატრის გახსნა.** შაბათს, აპრილის 14, ცენტრალურ კლუბში გაიხსნა საბავშო თეატრის სეზონი. თეატრი გავსებული იყო პატარა ბავშვებით. წარმოდგენის წინ ამხ. მამია ორახელაშვილმა წარმოსთქვა გრძნობიარე სიტყვა, სადაც აღნიშნა საბავშო თეატრის მნიშვნელობა. პირველად წავიდა ქართულ ენაზედ საბავშო პიესა „ჯადოსანი წყალი" თარგ. ნ. ნაკაშიძისა. მეტი წილი მონაწილენი იყვნენ ქართულ აკადემიურ დასის მსახიობნი. მთავარ როლს ასრულებდა მსახიობი ქალი შავიშვილი, რომელმაც ჩაატარა ჩვეულებრივ ცოცხლად და მხიარულ თამაშით ბევრი აცინა ახალგაზდა საზოგადოება. ტიპიური მასწავლებელი იყო ვარდოშვილი, მხოლოდ ზედმეტი ჟესტიკულიაციით ცოტა დისონანსი შეჰქონდა თამაშში. დანარჩენი მსახიობნი: წუწუნავა, ერისთავი, სიფაროვი და სხ. ანსამბლს ხელს უწყობდნენ, რითაც ეს უშინაარსო და მკრთალი პიესა ჩაატარეს ცოცხლად. პიესას ხელმძღვანელობდა ახალგაზდა რეჟისორი ალ. გვილესიანი და სიმართლე უნდა ითქვას, მან გამოიჩინა საკმაო უნარი და ნიჭი პიესის დადგმაში.

და ბოლოს რუსის დრამატიულმა დასმა ტუგანოვის რეჟისორობით რუსულ ენაზე ითამაშა მხიარული კომედია. რუსის დასს ეტყობოდა მეტი მომზადებლობა. თუმცა ქართველი მსახიობნი როლის ასრულებაში არ ჩამოუვარდებოდნენ რუსებს.

მეტი ყურადღება რეპერტუარს.

ქართლელ-იმერელი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 87.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადასახადთა შესახებ 1922 წლის თებერვლის 5-ს გამოცემული დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადასახადთა შესახებ 1922 წ. თებერვლის 5-ს გამოცემულ დებულების მუხლი მე-2 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„იმ ფულად საშუალებათა რაოდენობის განსაზღვრისათვის, რაც საბჭოებს დასჭირდებათ ადგილობრივი ხასიათის ხარჯების დასაფარავად (ნუსხა იმ ხარჯებისა, რაც დაფარულ უნდა იქნეს ადგილობრივი საშუალებით იხილე დამატებაში № 1), ქალაქისა და მაზრის საბჭო ვალდებულია შეადგინოს შემოსავალ-გასავლის ფინანსიური აღრიცხვა წლიური და საკვარტალო, ანუ სამთვიური".

2. მუხლი მე-3 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„წლიური აღრიცხვა უნდა შეიცავდეს ყველა შემოსავალსა და გასავალს მთელი წლის განმავლობაში, ხოლო საკვარტალო აღრიცხვა ყველა შემოსავალსა და გასავალს სამი თვის განმავლობაში. პირველ კვარტალში შედის: იანვარი, თებერვალი და მარტი, მეორეში—აპრილი, მაისი და ივნისი, მესამეში—ივლისი, აგვისტო და სექტემბერი, მეოთხეში—ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი".

3. მუხლი მე-5 გაუქმებულ იქნეს სრულიად.

4. მე-7 მუხლს დაემატოს თავში:

„როგორც წლიურს, ისე საკვარტალოს".

5. მუხლი მე-9 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ქალაქისა და მაზრის წლიური და საკვარტალო აღრიცხვა უნდა წარედგინოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის განყოფილებას, რომელიც დაამტკიცებს მას საუწყებათაშორისო კომისიაში განხილვის შემდეგ. ადგილობრივ ორგანოს უფლება ეძლევა განასაჩივროს კომისიის დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე კომისიის დადგენილება ძალაში რჩება".

6. მუხლი მე-10 გაუქმებულ იქნეს სრულიად.

საქ. სოც. საბ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. ხალარიძე.**

1923 წ. მარტის 10

ტფილისი—სასახლე.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ჩემი განცხადება:

მე აკაკი გრიგოლის ძე ბრეგაძე დღემდის არ ვეკუთვნოდი არც ერთ პარტიას, ხოლო დღეს კი სურვილი მაქვს ვიმუშაო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, რომელიც მტკიცედ იცავს ეროვნულს საკითხს და მშრომელთა ინტერესებს.

(აკაკი ბრეგაძე).

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ გაზეთ „ტრიბუნაში" შემდეგი განცხადება: ზოგიერთ გაზეთებში შეცდომით იყო გამოქვეყნებული, რომ დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარე ამხ. ამბერკი ურუშაძე დანიშნულია იმავე ტრიბუნალის პროკურორათ, რის გამო ბევრ შემთხვევებში მას მიმართავენ, როგორც რევტრიბუნალის პროკურორს, ამისათვის გაუგებრობის ასაცდენათ, პროკურორის დავალებით, ვაცხადებ, რომ ამხ. ა. ურუშაძე დანიშნულია არა რევტრიბუნალის, არამედ დასავლეთ საქართველოს პროკურორათ.

დასავლეთ საქართველოს პროკურორის, მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი

**ხევ. მექმარიაშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1 990 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმმართველობის მიერ № 202. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.